



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ქ. ონი

N 173
06/02/2018

173-02-4-201802061525



ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის N36 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2018 წლის გაზაფხულის გაწვევის შესახებ“ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში ორგანიზებულად გაწვევის მიზნით ვბრძანებ:

1. შეიქმმას მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემადგენლობით:

- | | |
|-------------------|--|
| ემზარ საბანაძე | მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით ლებანიძე | მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| დავით ბასილაშვილი | საქართველოს შსს-ს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი; |
| გიორგი მეტონიძე | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი; |
| დავით ბერელიძე | მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, კომისიის წევრი; |
| ნინო მეტრეველი | მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი, კომისიის წევრი; |

ზაზა ისაკაძე

მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების
სააგენტოს ონის რაიონული განყოფილების უფროსი,
კომისიის წევრი;

ქეთევან მელაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა
და გაწვევის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერითანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.
ამბროლაური. კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის
„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3
პუნქტის თანახმად.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი